განკარგულება:**g-63. 6324337001**
თარიღი:**02/12/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 2 დეკემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის ,,ბ.ი'' ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად განიხილა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის **2 დეკემბრის** სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. დამტკიცდეს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის **2 დეკემბრის** სხდომის დღის წესრიგი:

1. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2025 წელს განსახორციელებელი 23 პროექტის მოწონების შესახებ.

   /მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია./

2. ქალაქ სამტრედიაში, გიორგი ჭანტურიას ქუჩა №72-ში მდებარე №1 შენობა-ნაგებობიდან, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.55.957) 158.96 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის, ,,ჰაბიტატი თანასწორობის, მიღწევების და განვითარებისთვის" (საიდენტიფიკაციო ნომერი-412767448) გადაცემის შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

   /მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია./

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ჩხენიშში მე-10 ქუჩისა და მე-10 ქუჩის I და II ჩიხებისათვის, გრიგოლ ჯულუხიძის სახელის მინიჭებისათვის, თანხმობის მიცემის შესახებ.

   /მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ

საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ირ. მელაშვილი./

4. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებისათვის განკუთვნილ კორპორაციულ ნომრებზე სააბონენტო გადასახადის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის Nგ-63.632135728 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. სირბილაძე./

5. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 ივნისის N 25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. სირბილაძე./

6. სხვადასხვა.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი